საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2641 2016 წლის 23 დეკემბერი ქ. თბილისი

„ქალაქ ბათუმის ახალი შემოვლითი გზის პროექტის“ განხორციელების მიზნით შესაბამისი ფინანსური რესურსის მოძიების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია „ქალაქ ბათუმის ახალი შემოვლითი გზის პროექტის“ განხორციელების მიზნით შესაბამისი ფინანსური რესურსის მოძიების თაობაზე.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიმართოს აზიის განვითარების ბანკსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს „ქალაქ ბათუმის ახალი შემოვლითი გზის პროექტის“ განხორციელების მიზნით შესაბამისი დაფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**